სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება N01/01

ქ. თელავი 12.12. 2016წ.

ერთის მხრივ მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიურო, შემდგომში წოდებული ,,შემსყიდველი'', წარმოდგენილი №28 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის, მაჟორიტარი პარლამენტის წევრის, გელა სამხარაულის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ ნუგზარ ჯავახიშვილი (პ/ნ20001027644) შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ნუგზარ ჯავახიშვილის სახით, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ბიუროს ბეჭდის საოფისე მექანიზმით და შტამპის შესყიდვა
2.2 კლასიფიკატორის კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი: -30192000 -საკანცელარიო ნივთები
2.3 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა.
2.4 დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 80,00 (ოთხმოცი) ლარი.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებითი განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) გადაუხადოს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

5. მიღება-ჩაბარების წესი

საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

6.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

7.დავების გადაწყვეტა

7.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

7.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

8.2. საქონლის მიწოდების ვადაა 2016 წლის 23 დეკემბრამდე.

9. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიურო	ი.მ ნუგზარ ჯავახიშვილი
თელავი	
მის: ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. 16	მის: ქ. თელავი, გოშაძის ქ. 19
ს/კ 231291189	ს/კ 20001027644
სს ბანკი ქართუ	სს „თიბისი ბანკი"
ანგ: GE06CR0160009200203408	ანგ. GE70TB7778145165100008
ბანკის კოდი: CRTUGE22	ტელ: 593554070
ტელ: (0350)270095; 599551799	
№28 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი პარლამეტის წევრი	ნუგზარ ჯავახიშვილი
გელა სამხარაული	